სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 10

2012 წლის 26 მარტი

ქ. თბილისი

ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და იურიდიული და ფიზიკური პირების განცხადების ფორმების დამტკიცების შესახებ

,,მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, ,,ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის №150 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 29 ოქტომბერს №07 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2012 წლის 26 მარტს „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსი."
2. დამტკიცდეს „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის" პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსში"

მონაწილეობის შესახებ იურიდიული და ფიზიკური პირების განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

4. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური